

სასერტიფიკატო კურსი

კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის

სასერტიფიკატო კურსის მოცულობა: 24 საათი

სასერტიფიკატო კურსში ჩართვის წინაპირობა:

მსმენელები უნდა ფლობდნენ კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევებს, ასევე უნდა შეეძლოთ მარტივი მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა საშუალო არითმეტიკულის და პროცენტის გამოთვლა.

სასერტიფიკატო კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა:

სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც შეიძლება შეხება ჰქონდეს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, ანალიზთან ან უხდებოდეს მზა რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება. ამ კურსის გავლა ასევე სასარგებლო იქნება სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვისაც, რადგან მათ აუღრმავებს რაოდენობრივ მონაცემებთან მუშაობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ, როგორც სწავლის პროცესში, ასევე შემდგომ პროფესიული საქმიანობაში.

სასერტიფიკატო კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ პროგრამის მონაწილეებს ეცოდინებათ რაოდენობრივი მონაცემების ტიპები, მათი შეგროვების და შენახვის ძირითადი პრინციპები, დამოუკიდებლად შეეძლებათ SPSS-ის გამოყენებით მონაცემთა ბაზების ფორმირება, მარტივი და საშუალო სირთულის ბაზების დამუშავება და აღწერითი სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

მსმენელების შეფასების სისტემა:

მსმენელების შეფასება მოხდება კურსის დამთავრების შემდეგ ჩატარებული გამოცდის მიხედვით. გამოცდის მიზანი იქნება შეამოწმოს რამდენად შეუძლიათ მსმენელებს SPSS-ის გამოყენებით შეასრულონ პრაქტიკული დავალებები.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

კურსის სტრუქტურიდან გამომდინარე სავალდებულოა მონაწილეთა აქტიური დასწრება. გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებიც დაესწრნენ ლექციების მინიმუმ 75%-ს (9 ლექცია).

კურსის სტრუქტურა ძირითადად იყოფა ორ ნაწილად: მონაცემთა ბაზების ფორმირება/დამუშავება და აღწერითი სტატისტიკური ანალიზი. გამოცდის დროს მოხდება ამ ორი მიმართულების დამოუკიდებლად შემოწმება 10 ბალიანი სისტემით. სერტიფიკატის მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში თუ მონაწილე გამოცდის თითოეულ ნაწილში მიიღებს მინიმუმ 6 ქულას.

№	საკითხები	საათების რაოდენობა
1	კითხვარის/ანკეტის განხილვა, მონაცემების კოდირება. ფანჯრების და ფაილების ტიპები SPSS-ში. ცვლადების და მონაცემების ტიპები.	2
2	ბაზების ფორმირება – ცვლადების შექმნა კითხვარის და ანკეტის მიხედვით. ცვლადის სახელების დარქმევის წესი. მონაცემთა შეყვანა.	2
3	მონაცემთა მოძიება, სორტირება, აღწერა (დაჭდევა).	2
4	მონაცემების მომზადება სიხშირული ანალიზისთვის, სხვადასხვა ტიპის შკალები, სიხშირული ანალიზის ჩატარება და მიღებული შედეგის წაკითხვა.	2
5	სხვადასხვა სტატისტიკური სიდიდეების გამოთვლა (საშუალო არითმეტიკული, მედიანა, მოდა, პროცენტოები და სხვა).	2
6	კროსტაბულაციური ანალიზი.	2
7	რამდენიმე პასუხიანი კითხვების სიხშირული და კროსტაბულაციური ანალიზი.	2
8	მონაცემების ფილტრაცია, ჭეშმარიტების ცხრილები. მონაცემთა გაწმენდის ელემენტები.	2
9	მონაცემთა რესტრუქტურირაცია, დამხმარე ცვლადების შექმნა - მონაცემთა რეკოდირება (recode).	2
10	მონაცემთა რესტრუქტურირაცია, დამხმარე ცვლადების	2

	შექმნა – ახალი ცვლადების გამოთვლა (compute, count).	
11	სხვადასხვა ტიპის გრაფიკების აგება.	2
12	დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები მონაცემების დამუშავებასა და ანალიზზე.	2